№379 2016 წლის 4 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას, შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტსა“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის გასაფორმებელი შეთანხმებების პროექტების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს:

ა) საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) შორის 2011 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულ მემორანდუმსა და „ბუნებრივი გაზით მომარაგების შესახებ“ კორპორაციასა და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების №8 კომპლექსური შეთანხმების პროექტი;

ბ) აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის 2012 წლის 20 ივლისს გაფორმებულ გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი;

გ) აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის 2012 წლის 20 ივლისს გაფორმებულ გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში უფლებების გადაცემის თაობაზე შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებებს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების პროექტები და მასზე თანდართული დოკუმენტაცია (გარდა განკარგულების პროექტისა) მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

4. განკარგულება დაეგზავნოს შესაბამის სუბიექტებს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**